# სამშობლო

წ. I 1915 წ. სამშაბათი 10 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 31 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 31


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც ფუძლი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო"

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესეთე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის" ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო" თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



სამშაბათს, ათ მარტს, ექვსი თვის გარდაცვალების თავზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და წირვის შემდეგ 12 საათზე პანაშვიდი

ფეოდოსია ყარამან თავდგირიძის ასულის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძმები ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძე და (კიტა) ივანე გიორგის ძე აბაშიძე.

1—1—95



ბესარიონ მახარობლისძე აბდალაძე, შვილები: მელიტონ, ალექსანდრე, და მართა (ბათურა) აბდალაძის ასული გიორგაძისა, სიძე ივანე ბექანის ძე გიორგაძე და რძალი ნადია კინტუანის ასული აბდალაძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორენი უსაყვარლესი დედის, მესამე სიდედრისა, ხოლო უკანასკნელი დედამთილისა

ედუსი გრიგოლ ნიკოლაიშვილის ასულის აბდალაძისას,

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, რუბანის ქუჩ. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 12 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე. 3—1—94.



დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. ჟორჟიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права"

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.



ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.



უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული კარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი

გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.



ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. მოსკოვის ფირმის ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"-ს

სამანიფაკტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი არჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
ბამბეულობა
და ბამბაზეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„საფერდე—შიფონი" „კრეპ—აბრეტინი" და „კოტლე—ნოველი" მანტოსათვის:

„ფაი—რინე" და „ფაი—შიკ."

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.

ფასები შეფარდებულათ თ.



ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ხუთშაბათს, 12 მარტს,
წარმოდგ. იქნება ი. გედევანიშვილის ორიგინალური პიესა

1. გამცემი

დრამა 3 მოქმედ.

ი. გომართელის ორიგინალური კომედია

2. დრამატიული საზ. გამგეობის წევრი

2 მოქმედებად.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ანონსი: ჰამლეტი, ყაჩაღები, იუდა ისკარიოტელი, ოიდიპოს მეფე, დაძირული ზარი.



ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.



კბილის მენალარიფრილი და ტრუფაექიმები. ნოვა, დროებით ბათომიდან გადმოვიდნენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

საჭიროა 2 ან 3 ოთახი ელექტრონით და მოწყობილობით. იკითხეთ ექიმი მულინი, სასტუმრო ფრანციაში. 2—2


## ქუთაისი, 10 მარტი.

ერთი სახლის სხვენზე გამხმარი თავის ქალა ეგდო თურმე და სულ იმას გაიძახოდა: „გარდამხდა გარდასავალი, აწ უარესსაც მოველიო?"

მეტი რაღა უნდა მოსვლოდა მიწადქცეულ ადამიანის თავის ქალას?

მაგრამ, აი, წამოუქროლა ამ ქალას გრიგალმა და გახურებულ თონეში კი ჩააგდო!...

სწორედ ამ საარაკო თავის ქალას დღე გვადგება ჩვენ,—ქართველებს!

რამდენი გარდასახადი არ გადაგვხდენია, რამდენი უბედურება არ გვინახავს ქართველობას ჩვენ გრძელსა და დაუსრულებელ ისტორიის გზაზე; რამდენი დამცირება და შევიწროება არ აუტანია ჩვენ ერს შორეულსა თუ ახლო წარსულში; რამდენი ცრემლი და სისხლი არ დაუღვრიათ საქართველოს შვილებს თავის ვინაობისა, სახელისა და პატივის შესანახად,

თავი დავაღწიეთ ბაბილონელებს, გადავრჩით ასურელებს, გავუმკლავდით ხაზარებს, გავდევნეთ მაკედონელები, შევმუსრეთ სელჯუკები, გავრეკეთ არაბები, გაუძლით მონღოლების შემოსევას, ვერ მოგვსპო თემურლენგებისა, მურვანყრუებისა, შაჰაბაზებისა და ალამაჰმად ხანების მტარვალობა—აოხრებამ; ვერა დაგვაკლო რა თურქების ფანატიკოსობამ, ვერ მოგვსრა სპარსეთის აღმოსავლეთურმა პოლიტიკამ და ახლა,—მეოცე საუკუნეში—საზიზღარი და აღმაშფოთებელი პროვოკაცია სამარეს გვითხრის, ჩვენ დიდ პირნახულობას ზედ-აფურთხებს.

მე მოგახსენებთ იმ უმსგავსო და შეუწყნარებელ დეპეშის შესახებ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა პეტროგრადის დეპეშათა საგენტომ.

ეს დეპეშა. . არა დეპეშა კი არა,—

ისეთი სილაა ქართველებისათვის, რომლის გამრტყმელიც უეჭველად უნდა გამოიძებნოს და საჯაროთ საქვეყნოთ დასამარებულ იქმნეს,

ამას მოითხოვს ღირსება ჩვენის ერისა, ალდო ჩვენის ხალხის თავის—დაცვისა!...

თორემ კორს კორი მოჰყვება, უბედურებას უბედურება, მთის მწვერვალიდან დაგორებული პაწია სორსოლა თოვლისა დიდ ზვავად გადაიქცევა

შეიძლება ამ აზრითაც იყოს გამოქვეყნებული ეს დეპეშა, შეიძლება ვისმეს სურს, სწყურია ჩააფუჩეჩოს ღვაწლი და ამაგი საქართველოისა რუსეთის წინაშე

მაგრამ ეს ტყუილი ოცნებაა!

საქართველო ჯერ ისე არ დამაბუნებულა, რომ მტერს მტრულად არ დახვდეს და მოყვარეს—მოყვრულად; საქართველო ჯერ ისე არ წამხდარა, რომ თავისი უფლებები არ დაიცვას და თავის თავზე ხელი აიღოს.

— განა იმიტომ არ შეუერთდა რუსეთს თავის ნებით, რომ დიდი რუსეთის კალთის ქვეშ სული მოებრუნებინა, დაკარგული ძალა აღედგინა, თავისი ვინობა და მეობა განემტკიცებინა?

განა თვით უმაღლესი მანიფესტი—საქართველოს შეერთებით გამოწვეული—არ ამბობს, რომ: „არა განდიდებისათვის ძალისა ჩვენისა, არა ანგარებისა გამო ჩვენისა და არა გასავრცელებლად უიმისოდაც უვრცელესისა სამეფოისა ჩვენისა, მივიღეთ ჩვენ საქართველო მფარველობისა ქვეშე ჩვენისა, „არამედ შევიგრდომებთ მას, რათა დავიცვათ ღირსება და უფლება ამ უძველესი საქრისტიანო ქვეყნისათ"...*)

მაშ ვის შეუძლია შესწამოს საქართველოს ღალატი თავის თავისა, ან ორგულება რუსეთისა?

ამ მანიფესტში ნათლად არის აღნიშნული, როგორც მოვალეობა რუსეთისა საქართველოსადმი, ისე უფლება და მოვალეობა საქართველოისა რუსეთისადმი.

არავისთვის დაფარული არ არის,—მაშასადამე,—ურთიერთობა ამ ორის ქვეყნისა და მთელი საუკუნის განმავლობაშიც ეს ურთიერთობა უფრო განმტკიცდა, გაღრმავდა და გამოირკვა.

შეიძლება ზემოდ დასახელებულ მანიფესტის გამოცემის შემდეგ, რაიმე სახელმწიფოებრივ მოსაზრებისა გამო, საქართ-

*) იხილეთ დასახელებულ მანიფესტის პირველი მუხლი.

ამ მანიფესტის რამდენიმე მუხლი ბრინჯაოს ასოებით არის ამოჭრილი თფილისის „დიდების ტაძრის" წინა კედელზე.

# დღეს რა მოხდა.

ნემანის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა სოფელი პოლვიშკი და დუსია კოჰციოვოს ტბის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები დასცალეს.

ცენქკოვიცის სამხრეთით რაიონში მტრის 39 გონვედნის დივიზია რუსის ჯარმა საგრძნობლათ დაამარცხა.

ნადვორნის ჩრდილოეთით, პერემიშლესთან, მტერმა გამაგრებული პოზიციები დაიკავა. ამ რაიონში მტერი უმაგალითო თავგანწირვით იბრძვის.

კრაკოვისაკენ მიმავალი გზები რუსის ჯარმა ააფეთქა.

ნემანის დასავლეთით რუსის ჯარი თავდასხმას განაგრძნობს.

კარაპატის მთებში რუსის ჯარი შესამჩნევათ წინ მიიწევს.

პერემიშლეს დასავლეთით რუსის ჯარმა სოფელი კრასიჩინი დაიკავა.

## დასავლეთის ასპარეზი.

არგონის სიმაღლეებზე, თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ ფრანცებმა წინ წაიწიეს.

ბალანტის გზით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

ვევრთან, მორაკარას ტყეში, ფრანგებმა გერმანელების ბლოკგაუზი გაანადგურეს.

8 მარტს, პარიზის თავზე ცეპელინი გამოჩნდა. ცეპელინმა ორი ყუმბარა ისროლა.

## დარდანელთან.

მოკავშირეთა ფლოტი დარდანელის ფორტებზე ყუმბარების დაშენას განაგრძობს.

სოლუნიდან მოსილი ცნობით, დარდანელის ქალაქს ყუმბარების დაშენით ცეცხლი უკიდია.

---

ველოს არ მიჰქცეოდეს სათანადო ყურადღება, მაგრამ საქართველოს კი ერთი წუთითაც არ დავიწყებია არც თავისი **უფლებანი** და არც თავისი **მოვალეობანი**.

ამის დამამტკიცებელია მთელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორია!

ამა კითხეთ ბოროდინოს სისხლით მორწყულ მიდამოებს, რამდენი ქართველის სისხლია იქ დანთხეული?

აბა შეეკითხეთ მანჯურიის ველმინდვრებს, რამდენი ქართველის ძვლებია იქ ჩაყრილი?

აბა კითხეთ ყარსისა და არტაანის შავკლდეებს, რამდენმა ქართველმა შეაკლა მას თავი რუსეთის დიდებისათვის.

აბა, დაიარეთ დღეს საქართველოს დაბა-სოფლები,—ქალ-რძალთა, ბალღებისა, უმწეო მოხუცთა ამარა მიტოვებულნი და იკითხეთ, სად არის ჯანღონით სავსე ახალგაზდობა ქართველთა!

ყველა ესენი დღეს გასულნი არიან ბრძოლის ველად და რუსეთის ჯართან ერთად მამაცურადა და თავგანწირვით იბრძვის რუსეთის იარაღის გასაძლიერებლად.

მაშ, ვიმეორებ, ვისა აქვს ნება ცილი დასწამოს საქართველოსა და ქართველებს თავის მოვალეობის შეუგნებლობაში, ქვეყნისა და თავის ღალატში?.

ნეტა რას ფიქრობდა სააგენტოს დეპეშების შემთითხვნელი, როდესაც ვიღაც ემისარის სიტყვებს უკომენტარიოთ ამცნობდა ქვეყანას?

აი ეს სიტყვებიც:

„საქრისტიანო საქართველო მომზადებულია ჩვენი პროკლამაციების შემწეობით, მაგრამ მცხოვრებნი უნდობლად უცქერიან ორგანიზაციას, რომლის წევრი უმთავრესი ოსმალოებია, და დარწმუნებულნი არ არიან, რომ გერმანელები მხარს დაუჭერენ. საქმე კარგად წავა, თუ საქართველოს მკვიდრს დავაჯერებთ რომ გერმანია დაეხმარება დესანტით და რამდენიმე ასი გერმანელი მეზღვაურის გაგზავნით, რომლებიც დაექვემდებარებიან საქართველოს ეროვნულ კომიტეტს. გერმანელები უნდა გადავიდნენ ნაპირზე ბათომიდან ჩრდილოეთით 50 კილომეტრის მანძილზე, ნატანების შესართავთან, რადგან ამ რაიონში მხოლოდ ქართველები სცხოვრობენ“ და სხვა.

განა ამ სიტყვების გამმეორებელს არ უნდა შეემოწმებინა სინამდვილე მათი?

საქართველოში ქართველების გარდა სხვანიც სცხოვრობენ, რატომ ერთი „პროკლამაცია“ მაინც არ მოანახვინა?!

ასე უდანოთ დაკვლა მთელის ერისა, განა შესაწყნარებელია?

ჩვენ მთელის ჩვენის არსებით ვაცხადებთ ულრმესს პროტესტს და მოვითხოვთ რომ

ადგილობრივმა მთავრობამ

უარ ჰყოს ეს საზიზღარი დეპეშა და მით დაafasოს ის ამაგი, რომელიც მიუძღვის ქართველობას

ა'ეთი დეპეშის მოგონება და დაბეჭდვა ან ნაყოფია შურის მაძიებელ

და ან ხრიკია იმ უმსგავსებისა, რომელთაც ოსმალეთთან ომის დაწყებისათანავე სტამბოლში აღმოაჩინეს „ვიღაც ფაფახიანები“.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ მტყუანს მტყუვნის კარებამდე უნდა მივყვეთ და ბუდეშივე ჩავკლათ გველი!..

დაე იცოდნენ საქართველოს მტერ-მოყვრებმა, რომ ქართველი ერი მლიქვნელი არასოდეს არა ყოფილა დ

P. S. ჩვენი წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც ტფილისიდან შემდეგი ცნობა მივიღეთ:

პარასკევს, 6 მარტს დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე, საგუბერნიო მარშლის თანამდებობის აღმასრულებელის თავ. მ. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და ქართული პრესის წარმომადგენელთა კერძო თათბირი. თათბირზე ლაპარაკი იყო იმ დეპეშის შესახებ, რომელიც ამ ორი დღის წინად გამოაქვეყნა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ. დამსწრეთ ერთხმად დაადგინეს შემდეგი: „ქართველი საზოგადოების ყველა წრე ღრმად აღშფოთებულია პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს იმ დეპეშით, რომელიც გამოგზავნილია სევასტოპოლიდან და რომელიც შეიცავს გერმანელ ემისარის მოხსენებას ვიცედან. აღშფოთება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დეპეშა, რომელიც შეიცავს აშკარა ცილისწამებას და ინსინუაციას ქართველ ერზე, გამოქვეყნებულია ოფიციალურ სააგენტოს მიერ და მთავრობამ არავითარი შენიშვნა არ გაუკეთა ამ დეპეშას მაშინ, როდესაც იგი ვალდებული იყო გადაჭრით უარეყო აღსაშფოთებელი ბრალდება.

გამოვსთქვამთ ამის გამო ჩვენს პროტესტს და აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია, რომ ოფიციალურად იმავე სააგენტოს მიერ გამოცხადდეს, რომ ხსენებული ცნობა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს და საქართველოს ჭეშმარიტ სულიერ განწყობილებას“.

თათბირზე არჩეულ იქნა დეპუტაცია, ხსენებული რეზოლიუციის წარსადგენად...

დეპუტაციის წევრებად აირჩიეს: თავ. მ. სუმბათაშვილი, გ. ყაზბეგი, დეპუტატი ნ. ჩხეიძე, გ. ჟურული, მ. მაჩაბელი, დ. ჯორჯაძე, გ. დიასამიძე და გ. ცინცაძე.

---

# კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური.

ძვირფასო მოძმენო!

მოგვწყინდა მოწოდებაც და საყვედურიც თქვენდამი. მაგრამ რა გზა გვაქვს მეტი? სხვას ვის უნდა ვუსაყვედუროთ, ვის მოვუწოდოთ, ვის ვუთხრათ ჩვენი გულის ტკივილი? ვის? საით წავიდეთ? ვის მივმართოთ, თუ არა ისევ თქვენ.

რაც ჩემი დედა-ენის ანბანის კითხვა ვისწავლე, იმ დღიდან გაზეთებში ვკითხულობ თქვენ სიტყვებს ქართველ მაჰმადიანებისადმი: „დავეხმაროთ, ხელი გავუწოდოთ, წერა-კითხვა ვასწავლოთ ჩვენს მოძმებს და ეს ჩვენი, ჩვენათ ბოლოვდება და მეტი არაფერი.

ბატონებო! გულ-ახდილათ მოგახსენებთ, და, იმედია, არ გამკიცხავთ, რომ თქვენი სიტყვები თქვენს დაჩაგრულ მოძმეებისადმი, ყოველთვის ცარიელს სიტყვებათ რჩება.

მალე ორმოცი წელიწადი შესრულდება, რაც თქვენ შემოგიერთდით; ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდებოდა, მაგრამ სამწუხაროთ ამ ბევრში ერთ-საც ვერ ვხედავთ. ქართველ მაჰმადიანების მტკიცე საძირკველის ჩადგმა და ცხოვრების გზაზე გამოყვანა თქვენი ვალი იყო. შესაძლო იყო ამ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება, საყვედურიც შეგხვედროდათ და ბევრი შრომაც დაგეხარჯათ, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო უნდა დაგვხმაროდით — თქვენს ჩამორჩენილ ძმებს, თქვენს კულტურის ნანგრევებს, მით უფრო, რომ თქვენი შრომა უნაყოფოთ არ ჩაივლიდა. სწავლა-განათლების გავრცელებით ქართველი მაჰმადიანები თქვენს გვერდით უნდა ამოგიყენებიათ და დღეს ეჭვის თვალით შესახედნი აღარ ვიქნებოდით, პირიქით, დღეს თქვენთან ერთად, იარაღით ხელში, მონაწილე ვიქნებოდით თქვენი ჭირ-ვარამისა. ჩვენს დღევანდელ ჩამორჩენასა და შეუგნებლობაში თქვენ ხართ დამნაშავე და უმთავრესათ თქვენი სირცხვილია.

ასეთ საყვედურებზე ბ-ნი „იმერი“ შემდეგი სიტყვებით მოგვმართავს: „შეიძლება, ამ შემთხვევაში, ქართველთა ჩვეულებრივი დაუდევრობაც იყოს დამნაშავე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, მაგრამ უდიდესი მიზეზი ჩვენი და მაჰმადიანი ქართველების არა სრული გაერთიანებისა, ის პოლიტიკური მოკლემჭვრეტელობაა, რომლითაც არა ერთს და ორ ბიუროკრატს შეუძლია იამაყოს“.

ბ-ნ „იმერს“ და მის მოაზრე პირებს, რომლებიც ხშირათ ასეთ მიზეზებზე უთითებენ, მოვახსენებთ, რომ ტყუილათ ნუ ირჯებიან და ნუ სწუხდებიან. ასეთი მიზეზების წამოყენებით ქართველი-ქრისტიანობა (რამდენიმეს გარდა) ვერ იხსნის თავს ამ დანაშაულისაგან, მძიმე ცოდვისაგან, რომელიც დღეს კისერზე აწევს ყოველ ქართველს.

ჩვენი მოძმენი სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობენ ბუნების დასათვალიერებლათ და ის კი ავიწყდებათ, რომ სხვაგან გაქცევას, წავიდნენ და კარის ყურეში დაათვალიერონ დიდებული ბუნება და სხვადასხვა ნაშთი მისი კულტურის ნანგრევებისა, სადაც ერთ დროს ქუხდა ქართველობა და შიშის ზარს სცემდა მტერს, სადაც დუღდა ქართველის სისხლი და დღეს კი მხოლოდ აჩრდილია და მიტოვებულია ღვთის ანაბარათ, საქართველოს გმირი შვილები, რომელთათვისაც არავინ ზრუნავდა და არც ზრუნავს.

ქართველ მუსულმანობას უფრო მდაბიო და შეუგნებელ მოძმეებთან ჰქონდა დაახლოება და ეს შეუგნებელი ქართველი ქრისტიანობა უფრო წამლავდა ქართველ მაჰმადიანობას. ამ უკანასკნელებს უწოდებდენ „თათარს“ და მაჰმადიანებიც ამ სახელს თანაუგრძნობდენ, როგორც ნამდვილ ეროვნულ წოდებას.

ქართველი ინტელიგენცია არ ცდილობდა თავის მოძმეებთან დაახლოებას, არ მოგზაურობდენ აჭარისკენ, არ ათვალიერებდენ მათ კულტურის ნანგრევებს, არ ნახულობდენ მათ დაობლებულ ძმებს და გაპარტახებულ სოფლებს, რომელნიც მოითხოვდენ მცირე ხარჯს. ასეთი დაახლოვება კი მჭიდრო კავშირის მომასწავებელი იქნებოდა. სიტყვის განგრძობა ზედმეტია, ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ ქართველს, რომელსაც არა აქვს დავლილი ის მხარე, რომლითაც ერთ დროს ჩვენი გამოჩენილი მეფეები ამაყობდენ, და რომელიც საქართველოს საუკეთესო ნაწილათ ითვლებოდა, რომელ ქართველსაც აქ წარსულის ნაშთებზე არ დაუღვრია ცრემლები, მას არ შეუძლია სულითა და გულით დახმარების გაწევა და მათი სიტყვები სიტყვებათვე დარჩება.

ახლა შევეხები დღევანდელ აჭარის მდგომარეობას.

ოსმალეთის წყალობით ბევრი აუტანელი ტანჯვა-ვაება განუცდია ქართველ მაჰმადიანობას: აღმოფხვრეს ყველაფერი; სამი საუკუნის განმავლობაში სისხლს სწოვდენ ქართველ მაჰმადიანობას. ბოლოს როგორც იყო, ოსმალეთის კლანჭებისაგან ქართველ მაჰმადიანების ნაწილმა თავი დაახწია, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ გათავისუფლებამ მათ ვერ უშველა და ოსმალებისაგან კიდევ განადგურდა

---

# ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს № 28.

2. **სიმინდი** გაიზიდა უცხოეთში:

| წლები. | ბათუმზე: ფუთი. | ფოთზე: ფუთი. |
|---|---|---|
| 1884 | 31,000 | — |
| 1885 | 669,600 | 5,557,246 |
| 1886 | 2,210,362 | 4,527,692 |
| 1887 | 2,020,400 | 3,286,000 |
| 1888 | 1,483,070 | 3,529,536 |
| 1889 | 864,900 | 4,527,444 |
| 1890 | 295,430 | 3,720,000 |
| 1891 | 170,312 | 3,544,540 |
| 1892 | 319,920 | 2,852,000 |
| 1893 | 209,932 | 5,028,386 |
| 1894 | 280,812 | 3,865,360 |
| 1895 | 268,088 | 9,897,432 |
| 1896 | 88,598 | 62,000 |
| 1897 | 48,608 | 1,272,240 |
| 1898 | 437,968 | 2,295,984 |
| 1899 | 68,200 | 1,706,860 |
| 1900 | 1,284,826 | 1,966,764 |
| 1901 | 1,094,860 | 1,375,346 |
| 1902 | 450,472 | 1,441,430 |
| 1903 | 384,462 | 2,137,866 |
| 1904 | — | 1,066,392 |
| 1905 | 1,083,512 | 1,506,166 |
| 1906 | 109,128 | 1,015,746 |
| 1907 | 205,708 | 85,126 |
| 1908 | 673,382 | 517,700 |
| 1909 | 1,040,422 | 2,212,700 |
| 1910 | 2,673,378 | 2,156,800 |
| 1911 | 1,812,446 | 4,576,840 |
| 1912 | 1,574,242 | 1,327,978 |

ამ ორივე ნავსადგურიდან 1884 წლიდან 1912 წ. ე. ი. 29 წლის განმავლობაში გაზიდული სიმინდის ღირებულობა დაახლოებით უდრის: **60 მილიონ მანეთს.**

ამ მილიონებიდანაც ცოტა დარჩა ჩვენი გლეხის ჯიბეში, რასაც წრევანდელი დასავლეთი საქართველოს დამშევა ძლიერის სინამდვილით ამოწმებს.

დღევანდელ, ეკონომიურ პირობებში მიუტევებელ ბოროტებად უნდა მიგვაჩნდეს გინდ ერთი ფუთი სიმინდის გატანა ჩვენი ქვეყნიდან, სიმინდი ჩვენი ქვეყნის გლეხის უმთავრესი საზრდოა უძველესი დროიდან. დღეს ჩვენი გლეხი ისეა გალატაკებული, რომ სიმინდსაც ვერ შოულობს საკმაოდ. გლეხების უმრავლესობას ერთი მოსავლიდან მეორემდე ვერ მიჰყვება ხოლმე და წლის ბოლოს თვითონ ყიდულობს მამასისხლად.

სასაზრდოვო მასალის საზღვარგარეთ გაზიდვა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნორმალურად, როდესაც თვითონ გამზიდავ ქვეყანას ზედმეტი აქვს მორჩენილი, ამიტომ, ამჟამად ჩვენი ქვეყნიდან სიმინდის გაზიდვას ყოველის ღონისძიებით უნდა ვებრძოლოთ. ყოველ განათლებულსა მოწესრიგებულს ევროპიულ სახელმწიფოში არსებობს განსაკუთრებული კანონები. რომლის ძალითაც სახელმწიფოს შეუძლია დროებით აკრძალოს ყოველივე სანოვაგის გატანა საზღვარგარეთ, როგორც ხორცეულის, ისე ხორბლეულისა და ბოსტნეულის.

მაგრამ ჩვენში ცხოვრება ჩვენს სურვილებს არ ემორჩილება და, მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, გაჰქონდათ და გააქვთ ჩვენი სიმინდი საზღვარგარეთ. გამზიდავი უმეტეს ნაწილად იყვნენ და არიან უცხოეთის დიდი ფირმები, მათ შორის ყველაზე მძლავრი საფრანგეთის ფირმა დრეიფუსი და კომპანიაა. ეს ფირმები აგენტების საშუალებით ყიდულობენ სიმინდს გლეხებიდან და ხვილი ვაჭრებიდან და შემდეგ გააქვთ ფოთსა და ბათუმზე. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ჩვენი გლეხის უმთავრეს საზრდოს საზღვარ-გარედ ღორების სუქად ხმარობენ.

თუ სიმინდის გატანა ჩვენს განკარგულებაში იქნა, მაშინ ადგილი აღარ ექნება ქრონიკულ დამშევას.

საჭიროა ამაზე ახლავე ვიფიქროთ და შიმშილი თავიდან ავიცილოთ, მით უფრო ჩვენზე ძლიერ ახლო არიან სიმინდის მომყვანი ქვეყნები: ოსმალეთი, ბულგარეთი და რუმინია, საიდანაც საჭიროების დროს სიმინდის ჩვენში შემოზიდვა შეიძლება.

3. **აბრეშუმის პარკი** გაიზიდა უცხოეთში:

ბათომზე:

| წლები | ფუთი | წლები | ფუთი |
|---|---|---|---|
| 1891 | 19,468 | 1904 | 100,936 |
| 1896 | 24,468 | 1905 | 53,754 |
| 1897 | 24,304 | 1906 | 118,849 |
| 1898 | 22,258 | 1907 | 89,218 |
| 1899 | 71,052 | 1908 | 135,532 |
| 1900 | 42,222 | 1909 | 195,424 |
| 1901 | 28,830 | 1910 | 111,662 |
| 1902 | 116,870 | 1911 | 94,488 |
| 1903 | 158,720 | 1912 | 66,712 |

ფოთზე აბრეშუმის პარკი არასოდეს არ გაზიდულა, 1884—1890 და 1892—1895 წ. ოფიციალური ცნობები არ მოგვეპოვება.

სულ, ზემოდ აღნიშნული 18 წლის განმავლობაში უცხოეთში გაზიდული აბრეშუმის პარკის ღირებულობა დაახლოებით უდრის **73 მილიონ მანეთს.**

აბრეშუმის პარკი იყიდება მარსელში და მილანში. ჩვენი პარკის ბაზარი მარტო ეს ორი ქალაქია უცხოეთში.

ზემოთმოხსენებული აბრეშუმის პარკი მარტო ჩვენი ქვეყნიდან არ არის გაზიდული, მასში შედის აგრეთვე თურქესთანისა და სპარსეთის პარკი.

ოფიციალური ცნობებით, კავკასიაში მეაბრეშუმობას მისდევენ 3,000 ადგილში, 400,000 ოჯახი. ყოველწლიური საშუალო მოსავალია 300,000—400,000 ფუთი ნედლი პარკი, რომლის ღირებულობაც ყოველწლიურად უდრის $4^1/_2$—6 მილიონ მანეთს.

თუ რამდენათ ჩამორჩენილი ვართ ამ დარგში ამას შემდეგიდან დავინახავთ: აბრეშუმის სართავი ქარხნების რიცხვი ამიერ-კავკასიაში უდრის 111, რომელნიც შემდეგ ნაირად არიან განაწილებულნი: ნუხის მაზრაში 72, შუშის მაზრაში 26, კარიაგინის მაზრაში 5, ერევნის გუბერნიაში 5, მთელს საქართველოში კი მხოლოდ სამი (სახელდობ 2 საინგილოში და 1 თელავში).

პარკის გაზიდვის საქმე ძლიერ ცუდათ არის მოწყობილი და ჩვენს გლეხნას სრულიად არ ემორჩილება. ეს მით უფრო საზარალოა, რადგან ყოველწლივ მეაბრეშუმობას ჩვენში დიდს ყურადღებას აქცევენ.

4. **ბზის ხე.** უმეტეს ნაწილად გაშენებულია აფხაზეთსა და სამურზაყანოში (შავი ზღვის პირას). თავისი ღირსებით უცხოეთის ბაზარზე საუკეთესოდ ითვლება. გაიზიდა უცხოეთში:

ფოთზე:

| წლები | ფუთი | წლები | ფუთი |
|---|---|---|---|
| 1886 | 9,654 | 1899 | 6,324 |
| 1887 | 51,400 | 1900 | 1,550 |
| 1888 | 23,808 | 1901 | — |
| 1889 | 40,548 | 1902 | 5,952 |
| 1890 | 3,720 | 1903 | 48,732 |
| 1891 | 38,440 | 1904 | 12,338 |
| 1892 | — | 1905 | 18,662 |
| 1893 | 9,238 | 1906 | 26,040 |
| 1894 | 26,536 | 1907 | 12,090 |
| 1985 | 38,812 | 1908 | 2,852 |
| 1896 | 6,944 | 1909 | 13,686 |
| 1897 | 13,454 | 1910 | 26,917 |
| 1898 | 6,014 | 1911 და 1912 | 24,800 ფ. |

ბათომზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1908 | წელს | 58,670 | ფუთი |
| 1909 | „ | 43,338 | „ |
| 1910 | „ | 14,756 | „ |
| 1911 | „ | 59,582 | „ |
| 1912 | „ | 31,000 | „ |

როგორც ხედავთ, ბათომზე ბზის გამოზიდვა ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაიწყო.

სულ 1886—1912 წ. ე. ი. 27 წლის განმავლობაში უცხოეთში გაზიდული ბზის ხის ღირებულობა დაახლოებით უდრის: **1,200,000 მანეთს.**

ამ საქონლის უცხოეთში გაზიდვას ძლიერ ხელი შეუშალა შემდეგმა გარემოებამ: 1890 წლამდი ბზის ხეზე დაწესებული იყო გასაზიდი ბაჟი 2 შაური ფუთზე. 1890 წლიდან დააწესეს 6 შ. ფუთზე. ასეთმა გადასახადმა აიძულა უცხოელი მექარხნენი სხვა ქვეყნებში მოეძებნათ ბზის ხე- უმეტეს ნაწილად ჩვენებური ბზის ადგილი სპარსეთისამ დაიჭირა. ამჟამად აღნიშნული ბაჟი 2 აბაზი ფუთზე და, მიუხედავად იმისა რომ უცხოეთში ამ საქონელზე დიდი მოთხოვნილება არის, მაინც არ გააქვთ ბევრი.

როგორც ზემოთმოყვანილი ცხრილებიდან დაინახავთ, ამ საქონლის გაზიდვა უცხოეთში ძლიერ არა თანაბარია. წრეულს ფინანსების სამინისტრომ ნება დართო, რომ სპარსეთიდან უცხოეთში გასაზიდი საქონელი, ბაქოში უბაჟოდ შემოიტანონ, ამან რასაკვირველია გზა გაუხსნა სპარსეთის ბზას და ამჟამად დიდძალი გააქვთ უცხოეთში ბათომზე, მიუხედავათ იმისა, რომ იგი ღირსებით ჩვენსაზე გაცილებით დაბლა დგას.

ამას გარდა უცხოეთში გაზიდულ ბზაზე დაწესებული ბაჟი 2 აბაზი ფუთზე არ არჩევს ხარისხებს. I და III ხარისხის ხე ერთსა და იმავე ბაჟს იხდის, ამისთვის გამზიდველნი უფრო კარგი ღირსების ბზას ეტანებიან. ვინაიდან ჩვენებს ამ საქონლის გაზიდვა პირდაპირ არ აქვთ მოწყობილი იგინი ჰყიდიან ოჩემჩირეში, ფოთსა და ბათომში უცხოელებზე, რაიცა მათ ზარალს ძლიერა სცემს. საჭიროა ბზის ხის პატრონების შეერთება.

დავით ღამბაშიძე.

(შემდეგი იქნება.)

ნადვორნი სოვეტნიკი ფილიმონ შიოს ძე რეხვიაშვილი, მეუღლე მისი ნინო დავითის ასული რეხვიაშვილისა, ძენი მათნი: ანდრია, პეტრე და კალისტრატე, ასულნი: ნინო და შუშანიკა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დეუვიწყარისა: პირველნი ასულისა, ხოლო დანარჩენნი დისა მათისა

# ანიკოსას,

უმორჩილესათ გთხოვენ, რათა პატივი სცეთ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას, ფერმის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ამა 10 მარტს, 1915 წ. დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე.

დაკრძალვა იქნება არქიერის გორაზე, გოქოურის სასაფლაოზე.

---

ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო, კიდევ დაინთხა მათი უდანაშაულო სისხლი.

როგორც ვხედავთ, დღეს აჭარის მხარე გათელილია. საუკეთესო ძალა მოისპო და ვინც დარჩენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს განიცდიან.

საჭიროა დაუყონებლივი დახმარება, როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივიც.

მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ ვინ უნდა ითავოს ეს, ვის აღევს კისერზე ეს მძიმე ულლის გაწევა?

რასაკვირველია, ჩვენ შობმეებს—ქართველ ქრისტიანებს.

მართალია, დღეს პატარა საქრისტიანო საქართველოს დედებიც სტირიან, ბევრ მათგანს ნივთიერი დახმარებაც სჭირიათ, მაგრამ, შედარებით აჭარასთან, მათ ნაკლები სატირალი აქვთ.

ბ—ბო! ამ მდგომარეობაში მყოფი თქვენი ძმები—აჭარლები და მათთან ერთად სამცხე-საათაბაგოს წარსული გმირნი და თამარი, გთხოვენ, დაეხმაროთ ჩაგრულთ.

იმედია, დღევანდელი თქვენი ნაწერები გაზეთის ფურცლებზე არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა!

**ჰაიდარ-ბეგ-აბაშიძე.**

(ვთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებს ამ წერილის გადაბეჭვდას).

---

# ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

## რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 7 მარტი. მთავარსარდლის შტაბისაგან. ნემანის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლის შემდეგ გერმანელები ტაუროგენიდან ჩვენ საზღვარს იქით გავ სდევნეთ, მეორე ჩვენმა რაზმმა თავგანწირული იერიშით მემელამდი მიაღწია. 5 მარტს, საღამოს, ქუჩაზე ბრძოლის შემდეგ, რომელშიც მცხოვრებლებიც იღებდენ მონაწილეობას, დავიპყარით ქალაქი. ნემანის მარცხენა ნაპირზე უკანასკნელი დღეების ბრძოლით მტერი იძულებული გახდა სოფელ პოლევიშკი და დუსია-კოპციოვოს ტბის აღმოსავლეთით მდებარე ადგილი დაეცალა, ნარევის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლას კერძო ხასიათი აქვს. მიშინციდან, კაძიდანოს გზით, გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ ეს იერიში მათთვის დიდი ზარალით დაგვირგვინდა. შემდეგ კიდევ მოიტანეს უნაყოფო იერიში. ვისლის მარცხენა ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია.

კარპატებზე, დამატებითი ცნობით, 5 მარტს ცენჟკოვიცის სამხრეთ რაიონში ჩვენ მტრის 39 გონვედნის დივიზია საგრძნობლათ დავამარცხეთ. გორლიცის სამხრეთ რაიონში ავსტრიელებს შევუტიეთ და 800 ავსტრიელი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ქოლდავას ახლო მტრის მიერ გამაგრებული სიმაღლე დავიჭირეთ, მტრის კონტრიერიში, ისე როგორც განმეორებული იერიში როჟანკის რაიონში, უნაყოფო გამოდგა. აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლა გრძელდება. ნადვორნის ჩრდილოეთით, პერემიშლესთან, მტერმა ძალიან გამაგრებული პოზიცია დაიჭირა. დილიდან 5 მარტს, მტერმა ჩვენს პოზიციებს საშინელი ცეცხლი დააყარა. დღემდი მტერი ჯერ ასე თავგანწირულათ არ შეგვბრძოლებია. 6 მარტს მთელი ღამის განმავლობაში ვიდრე დილის 5 საათამდი გარნიზონის უმთავრესი ძალები აღმოსავლეთის გზით მედიკასი, ბიკოვისა და პლეშნოვიცის ფორტებისკენ გაემართენ. დილის ორ საათზე სანგრებამდი ვერც კი მიაღწია მტერს, რომ ფორტების ხაზზე უკუვაგდეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 3.000 ჯარისკაცი, 78 აფიცერი და 7 ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ, რომელიც 28 გონვედნიის დივიზიას ეკუთნოდა და რომელიც სიმაგრის გარნიზონის დედა ბოძს შეადგენდა.

**პეტროგრადი.** 7 მარტი. გერმანელებმა მიშინეცის კაძიდლოს გზით, იერიში 6 მარტს დილით 5 საათზე დაიწყეს. მტრის პირველმა ხაზმა ჩვენ მავთულების ლობეებამდი მიაღწია. აქ ტყვიისმტყორცნელებისა და თოფების ცეცხლით მტერი დავამარცხეთ. გერმანელები საპოზიციო ზარბაზნებს გვესროდენ. ბრძოლის გასაადვილებლათ მნათობ ყუმბარებს გვესროდა, რომელსაც დიდი ხმა ჰქონდა. პერემიშლესთან ჩვენზე იერიშის მოსატანათ მტერმა დღე-ღამის განმავლობაში 20.000 ყუმბარა დახარჯა. სადემონსტრაციოთ არტილერიის ცეცხლი ჩრდილოსამხრეთისკენ იყო მიმართული. დილის რიჟრაჟზე აღმოსავლეთის გზით დაიწყეს მოპარვა. ჩვენი დანაკლისი 70 კაცს არ აღემატება. კრაკოვისკენ მიმავალი გზები დამოზიცთან ავაფეთქეთ.

**პეტროგრადი.** 7 მარტი. ოფიციალური. მთავარსარდლის შტაბისაგან. დამატებით მოსული ცნობით, 6 მარტს პერემიშლედან მტერი 23 გონვედნის დივიზიით, რომელიც მეორე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე პოლკისაგან იყო შემდგარი გვეპარებოდა, მაგრამ უკუქცეულ იქნა. 145 აფიცერი, მათ შორის კამანდირი მეორე გონვედნის პოლკისა და 3.954 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ამის გარდა 16 ტყვიისმტყორცნელი ვიხელთეთ. გონვედნის დივიზიის ზარალი, ტყვეების გადმოცემით, მეტად დიდია.

**პეტროგრადი.** 8 მარტი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. ტარნოვიცის—პოლენის უბანში—ჩვენმა ჯარმა მამაცური იერიშით დაიკავა მტრის სანგრების პირველი ხაზი და წამოიყვანა ტყვეთ 2 აფიცერი და 300 ჯარისკაცი. ბრძოლა გრძელდება.

პერემიშლესთან ამ უკანასკნელ დღეებში მტერი ცდილობდა თავისი მოქმედება გაეფართოებია. დილით იერიშების მოტანა დაიწყო აღმოსავლეთის მხრიდან. ავსტრიელებმა შემოგვიტიეს მედიკა-ბიკუფ-პპეშავიცეს ფრონტზე და ცდილობდენ გაერღვიათ პერემიშლეს ირგვლივ შემორტყმული ალყა. ნაშუადღევის 2 საათამდი გრძელდებოდა ცხარე ბრძოლა, რის შემდეგაც მტერი იძულებული გავხადეთ უკან დაეხია და სიმაგრეებს შეფარებოდა. ამ ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ 16 ტყვიისმტყორცნელი, სამი სატელეგრაფო აპარატი, 107 აფიცერი და 395 ჯარისკაცი.

**პეტროგრადი.** 8 მარტი. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. ოფიციალური. ნემანის დასავლეთით ჩვენი თავდასხმა წარმატებით გრძელდება. სხვა ფრონტეზზე, ვისლის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე და აღმოსავლეთ გალიციაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კარპატის მთებში ჩვენმა ჯარებმა საგრძნობლათ წინ წაიწიეს. სვიდნიკისა და სმოლნიკის რაიონებში ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე უბანი მტრის მთავარი პოზიციისა, ტყვეთ წამოვიყვანეთ 2.400 ჯარისკაცი, 46 აფიცერი, ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი და ხუთი ტყვიისმტყორცნელი. ყველა იერიში მტრისა უჟოკისა და მუკაჩის რაიონებში მოგერებულ იქნა. პერემიშლთან საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დასავლეთით ჩვენ სოფელი კრასიჩინი დავიჭირეთ.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 6 მარტი. დღის ოფიციალური ცნობა. ნოტრდამდელორეტთან ჩვენ გამაგრებული გასავალი ადგილები დავიჭირეთ, ნაწილი გერმანელების ჯარისა დავატყვევეთ და დანარჩენი გავანადგურეთ. არგონის სიმაღლეზე, ბოლენტსა და ფურდეპარის ტყეა, გაათრებულ მომხდარ ბრძოლის შემდეგ, ჩვენ 150 მეტრ. წინ წავიწიეთ კონსავუას ტყეში, სადაც წინა ღამით მტრის კონტრიერიში მოვიგერიეთ, და გავამაგრდით, 5 მარტს, ჩვენ მიერ დაჭერილ პოზიციაზე. ეპარჟთან ჩვენ გერმანელების პოზიციის ქიმი დავიჭირეთ, რომელზეც მტერი მაგრდებოდა ხოლმე თებერვლის განმავლობაში. ჩვენ აქ მტრის ორი კონტრიერიში მოვიგერიეთ. მდ. ენის ველზე გაცხარებული ბრძოლა იყო არტილერიის ცეცხლით. შამპანში 196 მეტრ. სიმაღლესთან, მენილის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მას შემდეგ, რაც ჩვენ პოზიციას განუწყვეტლივ ესროდა, ქვეითა ჯარმა იერიში მოიტანა ჩვენზე, რომელიც მოგერებულ იქნა, მტრის დიდი ზარალით. როგორც სამხედრო მინისტრი იუწყება, დარდანელთან ბრძოლის დროს მოკავშირეთა ზარალი შემდეგია: ჯავშნოსანი „ბუვე“ აფეთქებული ნაღმისაგან ჩაიძირა, — „გოლიუა“ დაზიანებულია. ინგლისის ფლოტმაც იზარალა: ორი ჯავშნოსანი გემი ჩაეძირა. ყველა ეს შედეგია იმ გაცხარებული ცეცხლისა, რომელსაც მოკავშირენი შეხვდნენ დარდანელთან. საფრანგეთისა და ინგლისის ჯავშნოსნები ყუმბარებს უშენდნენ შემდეგ ფორტებს: „კალიდბახრს“, „ჩანაკჩელეზის“, „სუანდერეს“, „დარდანოს“ და „კაფეზის“ ქიმს.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**ლონდონი.** 6 მარტი. საადმირალო იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელ მოკავშირეთა ზღვის მეომრები სრუტეებს შიგნით ნაღმებს იღებდენ, გუშინ დილის ათ საათ. 45 წუთ. ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებმა საერთო იერიში მიიტანეს ვიწრო შესავალში დარდანელის სიმაგრეებზე კინელზაბეტზე, ინფკალსბალიზე, აგამეინონზე და ლორდნელსონზე. ყუმბარები დაუშინეს შემდეგ ფორტებს: კილიდბახრს და ჩაკკალეს. იმ დროს, როდესაც ტრიუმფ პრინსია-ჯორჯმა დარდანელის სიმაგრეების ბატარეიებს ცეცხლი დაუშინა, მტრის გაუბიცებმა და ყველე ზარბაზნებმა გემებს დაუშინეს ცეცხლი. საფრანგეთის ესკადრა, რომელიც გემ „სიუფრენისაგან“ „გოლიუასაგან“, „შარლემანისაგან“ და „ბუვერენებისაგან“ შესდგებოდა, სრუტეს შიგნით შეიჭრა და იერიში მიიტანა შემდეგ ფორტებზე: კილიდბახრზე და ნამოზიეზე. თუმცა სამაგიეროთ მათაც ცეცხლი დაგვიშინეს, მაგრამ იძულებული გავხადეთ სროლა შეეწყვიტათ სრუტეს შიგნით მყოფ ათ ჯავშნოსანს. ყველა ჯავშნოსანი რამდენიმეთ დავაზარალეთ.

**პეტროგრადი.** 8 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 6 მარტს, ჰოროხის გზით ჩვენმა არტილერიამ და ქვეითა ჯარმა ოსმალები უკუაგდო, რომლებიც ცდილობდენ ჩვენ მიერ დაჭერილ პოზიციაზე გადმოსულიყვნენ. ოლთინის გზით ჩვენმა მოწინავე ჯარმა წინ წაიწია და ოსმალების ასკერები და ჩეტნიკები უკუაქცია.

**პარიზი.** 8 მარტი გუშინ ღამით, პარიზზე „ცეპელინი“ გამოჩნდა. სამხედრო მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო. მცხოვრებლები საყვირით გააფრთხილეს. პარიზს წყვდიადი დააწვა. „ცეპელინმა“ ორი ყუმბარა ჩამოაგდო, მესამე ყუმბარამ ნელისიურსენის მიდამოში ცეცხლი გააჩინა.

**სტოკჰოლმი.** 8 მარტი. გარეშე საქმეთა მინისტრმა შვეციის საგენერლო ელჩის მოხსენება ლონდონში გამოაქვეყნა, შვეციის გემ „განის“ წყალქვეშა ნავით ჩაძირვის შესახებ. ამ მოხსენების თანახმათ, მიუხედავათ გერმანელების წინააღმდეგი მტკიცებისა, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ეს გემი გერმანიის წყალქვეშა ნავით არის ჩაძირული.

**ლონდონი.** 6 მარტი. მალტიდან რეიტერს ატყობინებენ, რომ ინგლისის კრეისერ „ამეტისის“ დაზიანება შედეგი იყო იმ დიდი დავალებისა, რომელიც მან გმირულათ შეასრულა. 4 მარტს, კრეისერ „ამეტისას“ დავალებული ჰქონდა კილიტბახის, ჩანაკალისა და კალეს შემაერთებელი კაბელი გადაეჭრა. როგორც სჩანს კაბელი გადასჭრა კიდეც და როცა უკან გამობრუნდა ოსმალეთის ფორტებს შუა მოუხდა გამოსვლა იქ, სადაც სრუტეების ვიწრო გამოსასვლელი ადგილია. რასაკვირველია კრეისერი „ამეტისი“ სამიზნო ბერიკათ იქცა, სწრაფათ გამოცურდა და მიუხედავათ იმისა, რომ მტერმა ყუმბარები დაუშინა, მაინც გადარჩა.

**დილი.** 7 მარტი. გერმანელი ავიატორი ტაუბეზე გამოჩნდა, დილის სიმაღლეზე, უნდოდა გემებისთვის ყუმბარები ესროლა, მაგრამ საბედნიეროთ ყუმბარები ზღვაში ცვიოდა. სადარაჯო გემმა ავიატორს სროლა აუტეხა, მაგრამ ავიატორმა მოასწრო, მაღლა წავიდა და ღრუბლებს ამოეფარა. კამანდა ხედავდა, ჩამოსროლილი ყუმბარებისგან წყალს როგორ რევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ინგლისის ავიატორები გამოედევნენ და გაფაციცებით ეძებდენ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ხმებია—ჩინეთი თანახმაა შეასრულოს იაპონიის მოთხოვნილებებიო.

საერთო რიცხვი ჩინეთში გაგზავნილ იაპონიის ჯარისა, ხუთ დივიზიას აღემატება.

## საბერძნეთი და რუმინია.

ტარე იონესკუსა და ვენიზელოსს შორის მოხდა დეპეშებით აზრის გაზიარება. იონესკუმ გამოსთქვა თავისი მწუხარება იმის გამო, რომ საბერძნეთმა დაკარგა ისეთი კაცი, რომელიც საბერძნეთის ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერდაო. ვენიზელოსმა უპასუხა, დარწმუნებული ვარ, ახლანდელი მთავრობა, იმუშავებს გაადიდოს და განამტკიცოს რუმინია-საბერძნეთის მეგობრული დამოკიდებულებაო.

## საბერძნეთი.

ათინიდან გვატყობინებენ: გუნარისის მდგომარეობა საძნელოაო. ჯერ მას მხოლოდ გერმანოფილების ოპოზიციის ლიდერებმა დაუჭირეს მხარი. ამბობენ ეს ოპოზიცია სუსტი იქნება და გუნარისი ისევ ვენიზელოსს მიმართავსო.

---

დაჟინებით უარყოფენ ხმებს, ვითომ საბერძნეთის მთავრობას, ინგლის-საფრანგეთის დესანტის გადმოსხმის გამო, კუნძულ ლემნოსიდან თავისი მოსამსახურეები გამოეწვიოს.

---

საბერძნეთის ელჩმა რომანოსმა ინახულა დღეს დელკასე და ფორმალურათ დაარწმუნა იგი, საბერძნეთში კაბინეტის გამოცვლა ახალს არაფერს მოასწავებსო. გუნარისის კაბინეტი ვენიზელოსის კაბინეტის პოლიტიკას განაგრძობს და იხელმძღვანელებს საბერძნეთის ტრადიციულ გრძნობებით სამთა შეთანხმებასთანო.

## რ უ მ ი ნ ი ა.

მიუხედავათ ბრატიანოს ცდისა, რომ ფინანსთა მინისტრი კოსტინესკო დარჩენილიყო კაბინეტში, უკანასკნელი მაინც თავის აზრზე სდგას. მდგომარეობა უცბათ გართულდა. ამბობენ, სხვა მინისტრებიც დასტოვებენ სამსახურს და მათ ადგილებს ბრატიანოს მეგობრები დაიკავებენო.

დღეს მეფე ფერდინანდმა ინახულა ბრატიანო, რომელიც ავათმყოფობის გამო სახლში იმყოფებოდა და იქონია მასთან ხანგრძლივი საუბარი.

მარგილომანი, კარპი და მაიორესკო ეწევიან აგიტაციას ახალი სამეფო სხდომის მოწვევის სასარგებლოთ. მათ მიერ გავრცელებულ აგიტაციის გამო, ნაციონალისტთა ჯგუფში დიდი აღელვებაა.

## გ ე რ მ ა ნ ი ა.

ამსტერდამიდან გაზეთი „ტელეგრაფი“ ასაბუთებს ცნობას, რომ გერმანელების მიერ ხობოკენში ანტვერპენის ახლოს შენდება ახალი წყალქვეშ მავალი გემები, რისთვისაც გამბურგიდან და კილიდან გამოწერილია 500 მუშა. პირველი წყალქვეშ მავალი გემი, მალე ზეებრუგეში გამოვაო.

---

საბერძნეთის პრესაში გამოცხადებული ცნობა, ვითომ სამეფო რჩევის დროს, რადოსლავოვსა და მეფეს უთანხმოება მოსვლოდეს იმ საკითხის გამო, თუ ვის დაეცეს ბულგარეთი: ოსმალეთს თუ საბერძნეთს, სიმართლეს მოკლებულიაო.

---

კოპენჰაგენიდან გვატყობინებენ, დანიაში მცხოვრებ ავსტრიელებს ბრძანება მოუვიდათ ავსტრიიდან, რომ ისინი უსათუოდ გამოცხადდენ ჯარში. გაწვეულები იმყოფებიან დროებით ქალაქის გამგეობის შენობაში და იკვებებიან ავსტრიის საელჩოს ხარჯით.

ხვალ ისინი ავსტრიაში მიემგზავრებიან.

---

ათინიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ საბერძნეთის პრესა იმიტომ არის უკმაყოფილო, რომ რუსეთი საბერძნეთის ინტერესების საზარალოთ პანსლავიზმს მხარს უჭერსო.

# ახალი ამბები.

ყოვლადსამღვდელო დავით [illegible]ში იმყოფებოდა, კვირას, 8 მარტს თფილისს გაემგზავრა.

✦ ჩვენმა რედაქციამ სოფელ ამაღლების საზოგადოების მცხოვრებისაგან აკაკის ფონდის გასაძლიერებლათ მიიღო 19 მანეთი და 44 კაპიკი. ეს ფული დანიშნულებისამებრ კომიტეტს გადაეცემა.

✦ კვირას, 8 მარტს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში ჩვენი რედაქციის და აკაკის დამკრძალავ ქუთაისის კომიტეტის მედაურობით გადახდილ იქნა პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ, მისის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგეობამ კავკასიის სამოსწავლო ოლქში მეექვსე და მერვე კლასის მოწაფეების ნიშნები უკვე გაგზავნა. მოწაფეებს 14 მარტს დაითხოვენ. გამოცდები 16 დაიწყება.

ქუთ. გუბერნატორმა ქართველ ქალთა საზოგადოებას ნება დართო მოაწყოს ქუთაისში სათარიგო ჯარის კაცთა ღარიბ ბავშთა უფასო სასადილო. ასეთ სასადილოსათვის საჭირო თანხას ხაზინა გაიღებს.

✦ კვირას, 8 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ხელოსანთა საკრედიტო ბანკის წევრთა წლიური კრება. კრებამ განიხილა გასული წლის ანგარიშები, როგორც გამოირკვა ბანკს ვალებიც დაუფარავს და მოგებაც დარჩენია. კრებამ გამგეობას მადლობა გამოუცხადა.

✦ კვირას, რვა მარტს, ქალაქის თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იყო ივანე გომართლის ორიგინალური პიესა „იასონის ოინები“, კონ. ანდრონიკაშვილის ერთ მოქმედებიანი პიესა „სიზმარი კოშკში“ და ვოდევილი შარჟი „სიმართლე“. წარმოდგენებმა კარგათ ჩაიარა. ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ კვირას გამოვიდა პირველი ნუმერი „სასოფლო გ ზეთისა“. გაზეთი კარგათაა შედგენილი, ჩართული აქვს აკაკის სურათები.

✦ დ. ხაშურის ქართველმა საზოგადოებამ დაადგინა გაიხსნას ადგილობრივი განყოფილება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა.

ქალაქის საავადმყოფოში თებერვლის განმავლობაში შემოსავალი ყოფილა სულ 3960 მ. და 20 კაპ., გასავალი კი 3,953 მან. და 9 შ. აქიდან ჯამაგირებში 1332 მან. 39 კაპ. სანოვაგეში 1228 მან. და 64 კაპ. წამლებში 495 მ. და სხვა.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა სიმონ ქვარიანმა ქალაქის საბჭოში მოხსენება შეიტანა, რათა ქალაქმა ქუთაისში დაარსოს მუნიციპალური ფქვილის საწყობი, ასეთ ფქვილის საწყობში ქალაქმა რაც უნდა იაფათ გაჰყიდოს ფქვილი, წლიურათ 50,000 მანეთის მოგება მაინც დარჩება. ქუთაისის მეფქვილეებს ამ ჟამათ დაახლოვებით 360,000 მანეთი დარჩებათ.

✦ კვირას, 7 მარტს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნული იყო ქალთა საზოგადოების კრება. კრება წევრების საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო თუმცა არ შესდგა, მაგრამ გამგეობის თავჯდომარემ ქ-ნ ქორქაშვილის ქალმა დამსწრე საზოგადოებას გასარჩევი საქმეები მაინც გააცნო, რომ მომავალი კრებისათვის მომზადებულიყვნენ.

✦ ქალთა საზოგადოებას მიზნათ აქვს შეკრიბოს საჭირო თანხა ქუთაისში აკაკის ძეგლის დასადგმელათ. საზოგადოებას აგრეთვე მიზნათ აქვს მოაწყოს ჯარის კაცთა ბავშებისათვის უფასო სასადილო. ამ ორი სიმპატიური საქმის მოსაწყობათ ქალთა საზოგადოებას დიდი ენერგია დაეხარჯებათ და საჭიროა ამის განსახორციელებლათ ყველა წევრმა და არა წევრებმაც მეტი შრომა გამოიჩინონ და მომავალ კრებას მაინც დაესწრონ.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ქუთ. მეფურნეების უსტაბაში პავლიდი და განაცხადა, რომ იგი ამიერიდან თვის თანამდებობას თავს ანებებს. ეს გარემოება გამოიწვია მეფქვილეების თვითნებობამ.

✦ ბაღდადის რაიონის ბოქაულათ დაინიშნა ივანე წულუკიძე.

✦ თეატრი ხუთშაბათს, 12 მარტს ქარ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება იოსებ გედევანიშვილის ორიგინალური პიესა „გამცემი“ და

სავაჭრო სახლი
„ი. გოკიელოვის ძ—ბის"
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

**ნ. ხრისტოდულიდის**

**მიღებულია.** ვინც თესლს შეგვიკვეთს **ათ მარტამდი** არა ნაკლებ ერთი ყუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაუჯდება 2 მან. 50 კ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

ივანე გომართლის ორგინალური კომედია „დრამატიული საზოგადოების წევრი". ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

## მოწერილი ამბავი.

**ს. კორეთი. ოკრიბა.** ელენე ჩხეიძის ასულის ყიფიანის თაოსნობით 8 მარტს ციხის ამაღლების ეკლესიაში გარდახდილ იქნა მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლად, რომელსაც დაესწრო ციხისა და ბობოთის ეკლესის მრევლი, განურჩევლათ წოდებისა.

წირვის შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა კ. გვეტაძემ, რომელმაც გააცნო საზოგადოებას დიდებული მგოსნის მოღვაწეობა ქართველი ერისადმი, თუ როგორ უდგა ხალხს სათავეში და როგორ ეწინაამღდეგებოდა თავისი ბასრი კალმით ყოველგვარ უსამართლობას.

დამსწრე **გრ. ი. ყიფიანი.**

—

**დ. საჩხერე.** 8 მარტს, დიდებული მგოსნის აკაკის გადაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, ადგილობრივმა ინტელიგენციამ პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს დაესწრენ აგრეთვე ქუთაისიდან დამკრძალავი კომიტეტის წარმომადგენელნი და დიდძალი ხალხი.

პროცესია, პანაშვიდის გადახდის შემდეგ აკაკის სახლისაკენ გაემართა, ხალხს ბაირაღებით წინ მიუძღოდათ მოწაფეები. ბაირაღებს მიყვებოდა მგალობელთა გუნდი, შემდეგ მიჰქონდათ ყვავილებით მორთული აკაკის დიდი სურათი. მას მიყვებოდა შემოსილი მღვდლები და შემდეგ—ხალხი.

პანაშვიდი აკაკის ეზოშიც გადაიხადეს. პანაშვიდის გათავების შემდეგ აკაკის სახლში გაიმართა დილა. სახლის აივანი მშვენივრათ იყო მორთული. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა—კიკაჩეიშვილმა, მეორე პ. იაშვილმა.

შემდეგ პატარა ბავშვებმა წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები.

ლექსების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მასწავლებელმა ქალმა, ანეტა იურკოვიჩისამ და გრ. ლაღიძემ. დილა საღამოს 3 საათზე გათავდა.

—

**ს. ამაღლება.** 1 თებერვალს, ს. ამაღლების მაცხოვრის ეკლესიაში დიდძალი საზოგადოების თანადასწრებით მღვდელმა იონა მინდელმა აკაკის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაიხადა, რის შემდეგაც შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

პანაშვიდის გადახდის შემდეგ მამა მინდელმა საზოგადოებას აუხსნა ფულის შეგროვების საჭიროება აკაკის ფონდის გაძლიერებლათ. ფულის შეგროვებაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ლალიაშვილისა და ქს. მინდელის ასულებმა. სულ შეგროვდა 19 მანეთი და 44 კაპიკი, რაც დანიშნულებისამებრ გაიგზავნა.

## აკაკის ხსოვნის საჩუქარი სოფლათ.

წასულ კვირაში კანტორა „იმერეთი"-ს გამგე ის. კვიცარიძემ გაუგზავნა ქუთაისის მახლობელ სოფლების: ფუთურჩხეთის, ზარათისა და რიონის შკოლების მასწავლებლებს ამ შკოლების შეგირდებისათვის მუქთათ დასარიგებლად თფილისის წერა-კითხვის საზოგადოების მიერ აკაკის დამარხვის დღისათვის გამოცემული სურათები ბიოგრაფიით ორასი ცალი. მანვე გაგზავნა აქ ქუთათურ ქალთა წრის მიერ ამავე დღისათვის გამოცემული წიგნაკები აკაკის ლექსებისა ბიოგრაფიით.

როგორც ადგილობრივმა მასწავლებლებმა გადმოგვცეს, სოფლის მოზარდებს დიდის ხალისით მიუღიათ დიდებულ მგოსნის სიკვდილის გამო ქალაქელების მიერ გადებული ძღვენი და ყველა სიამოვნებით კითხულობს მათ, თუ შკოლებში და თუ ბინებზე, ოჯახებში და თან მოწიწებით ინახვენ ამ მცირე, აკაკის სახსოვარ ძღვენს.

საჭირო და უფრო სასარგებლო იყო, ასეთი საჩუქრები თფილის-ქუთაისის კომიტეტებს, აკაკის სახელით სხვა ქველმოქმედებს ამგვარი სურათები და წიგნაკები ქალაქებში ქუჩებზე დარიგების მაგიერ მომეტებულათ სოფლის შკოლებსა და მკითხველებისათვის დაერიგებიათ, სადაც ასეთი საჩუქრები უფრო ნაყოფიერ და საჭირო თესლს გაიღებს ბუნებით მდიდარ ნიადაგზე. ქალაქელებს ხომ ყოველთვის და ყოველგან აქვთ საშვალება მათი შეძენისა, სოფლელებს კი იგი ათასში ერთხელ არ ეღირსებათ. ისინი ნაკლებათ თუ ვისმე გაახსენდება.

ამიტომ ხსენებული კომიტეტები, ან კიდევ სამუდამო ორგანო ჩვენში კულტურულ საქმიანობისა ძალიან კარგს იზამდენ ასეთ სურათებს, თუ წიგნაკებს, როცა გამოსცემენ აკაკის, თუ სხვა ჩვენი მოღვაწეების ხსოვნის აღსანიშნავათ, მომეტებულათ სოფლის მკითხველებს დაურიგებდენ, მათში გაავრცელებდენ. და ამით კი მათ, „დედაენი"-ს ანბანზე აღზრდილთ შეაყვარებენ უძვირფასეს მამულისშვილის პატივისცემას, აღუძრავდენ მისი, თუ მათი ნაწერების გაცნობის სურვილს და ამნაირათ გაღვივდება სოფლელ წერა-კითხვის მცოდნეთა შორის ჩვენი მწერლების ნაწარმოებთა კითხვის, შესწავლის სურვილი და ეროვნულ ნიადაგზე მომზადება, რაც ასე უყურადღებოთაა დღეს მიტოვებული სოფლათ კი არა, ქალაქათაც...

როგორც ვიცით, ბ. ის. კვიცარიძეს თავის სოფელ ფუთურჩხეთში აკაკის სახელობის სამკითხველოს დაარსების გამო უკვე დაუწყია გამოცემა პატარა წიგნაკისა აკაკის სახსოვრათ. ხსენებულ წიგნაკში მოხსენებული იქნება ამ სოფელში აკაკის სახელობის სამკითხველოს ამბავი,—ლექსები რამდენიმე ახალგაზდა პოეტებისა, თვით მგოსნის საუკეთესო სახალხოთ გავრცელებული ლექსები, მგოსანზედ დაწერილი ორი საუკეთესო მისი მოღვაწეობის დამახასიათებელი წერილები ნოე ჟორდანიასი და არიელისა, აკაკის—„ზეპირ სიტყვაობის გამო", ექვთიმე თაყაიშვილის წერილი „აკაკი და ზეპირსიტყვაობა", მოკლე ბიოგრაფია დიდებული მგოსნისა, სურათები და სხ.

ხსენებული წიგნაკი გამომცემელს უნდა დაურიგოს ქუთაისის მახლობელ ზემორე ნახსენებ სოფლებში შკოლების შეგირდებს და წერა-კითხვის მცოდნეთ. გამომცემელი ხელმოკლეობის გამო მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს სტამბავს განზრახულ წიგნაკისას და რომ ვინმე მას ამ საქმეში წაეხმარებოდეს,—იგი ამ წიგნაკს სხვა შორეულ სოფლებში გასავრცელებლათაც ათასობით დასტამბავს და მიაწვდის სოფლის მასწავლებლებს და სოფლის კულტურულ დაწესებულებებს, მაგ. კოოპერატივებს, ბანკებს და სხვებს ხალხში მუქთათ დასარიგებლად.

ეს კი ერთი ცოცხალი კულტურული საქმიანობა იქნება დიდებულ მგოსან—ადამიანის სახელისა და უკდავი ხსოვნის აღსანიშნავად.

**ისო.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

(გაზეთების მტაცებელნი პროვინციებში).

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ყურადღება შევაპყრობინო და გავაფრთხილო ჩვენი რედაქციები და ზოგიერთი ჩვენი გაზეთების გამავრცელებელნი შემდეგ მოვლენისა გამო.

სადგურ ყვირილასა და შორაპანს შორის დაიარება ყოფილი აგენტი გაზეთებისა ბ. **გრიგოლ კაჭარავა**, რომელიც ხვდება ჭიათურისა და სხვაგან მისასვლელ გაზეთებს, მოტყუებით იტაცებს მათ, ყიდის და ანგარიშს არც ერთ რედაქციას არ უსწორებს.

ამის ფაქტები მეც მრავალი მაქვს, ადგილობრივათაც ბევრნი დაადასტურებენ და თფილის-ქუთაისის რედაქციებისათვისაც ეს მტაცებელი მეგაზეთე უნდობი შეიქნა და დღეს მას ცალ გაზეთს არც ერთი არ ანდობს.

მას მოხერხებით შარშან ზაფხულში აულია რკინის გზის ჟანდარმთა მართველისაგან ნებართვა რკინის გზებზე გაზეთების ყიდვისა. მაგრამ მას თავის უპირობით ისე წაუხდენია საქმე რედაქციებისა და ჟურ.-გაზეთების კანტორა **„იმერეთთან"**, რომლისათვისაც 22 მანეთამდი ჟურ. გაზეთების ფული გაუტაცნია, (გაზეთ „იმერეთი"-ს რედაქციასაც შეუჭამა 40 მანეთამდი) და ისე დაკარგა ნდობა, რომ დღეს არც ერთი გაზეთების გაყიდვას არ ანდობს.

ამნაირათ მას მოესპო პირდაპირ რედაქციებიდან გაზეთების მიღების საშუალება და მაინც კიდევ ამ წმინდა მისთვის შეუფერებელ ხელობას თავს არ ანებებს და ყიდის თუ სხვის სახელზე მომავალ გაზეთებს, თუ მოტაცებულს, მუქთათ ნაშოვნს. სარგებლობს რა გაყიდვის ნებართვით, სხვა გამყიდავებს არ ატარებინებს არც მატარებლებში და არც სადგურებზე გაზეთებს.

მწიგნობრობის გავრცელებისათვის ამგვარ შეუფერებელი საქციელით ბ. კაჭარავა ძლიერ აფერხებს აქ ამ საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას და საჭიროა ადგილობრივმა საზოგადოებამ ასეთ არა ნორმალურ მოვლენას ჩვენში კულტურულ საქმიანობისას მეტი ყურადღება მიაქციოს და აღკვეთოს პროვინციებში მეგაზეთეების ასეთი ყაჩაღური მოქმედება—**გაზეთების მტაცებლობა**, რაც ასე გახშირდა მომეტებულათ დღევანდელ ომიანობის დროს, როცა სწორეთ პირნათელი პიონერები, გამავრცელებელნი ჭირდება ამ კულტურულ საქმეს ჩვენში.

მაშ თითეული შეგნებული ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა ასეთი ვაჟბატონების უღირსი საქციელის მხილება და დატუქსვა.

**ვასო ჭელიძე.**

## ანგარიში.

ბაღახვანის შოთა რუსთველის სახელობის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ ქუთაისში, თეატრ „რადიუმ"-ში 4—ს მარტს ამა 1915 წ. გამართულ სეანსებისა.

ბილეთების ფასი შემოვიდა სულ 498 მან. 30 კაპ.; შემოწირულებანი 37 მან. 41 კაპ. მთელი ჯამი შემოსავლისა—535 მან. 71 კაპ.

ხარჯი: თეატრის ქირა—100 მ. მუსიკის—15 მან.; სურათების ლენტების—25 მან.; მერკებისა—36 მან.; თეატრის მოსამსახურეების საჩუქარი—5 მან. და 50 კაპ. და ორი პატარა წიგნაკის 30 კაპ.—სულ 181 მან. 80 კაპ.

ხარჯების გამორიცხვის შემდეგ ხსენებულ წიგნთ-საცავსამკითხველოს დარჩა წმინდა მოგება სამას ორმოცდა ცამეტი მან. და 91 კაპ. (353 მან. 91 კაპ., რომელიც დათვლის შემდეგ, მეორე დღესვე, გადაეცა მოლარეს სერაპიონ სოხაძეს და დაევალა მას საკრედიტო დაწესებულებაში მისი შენახვა.

ამასთანავე მზრუნველი კომიტეტი ზემო მოხსენებული წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა, თანახმათ თავის 5 მარტის დადგენილებისა საჭიროთ სთვლის უღრმესი მადლობა გამოუცხადოს თეატრის დათმობისათვის ბ-ნ ტიხონ ალექსის ძეს ასათიანს; ამავე თეატრის მოსამსახურეთ გიორგი ჩარექოვს, მექანიკს და სხვ. უმწიკვლო სამსახურისათვის, გულითადივე მადლობას უცხადებს მზრუნველი კომიტეტი ყველა დამხმარე პირთ, რომელთაც ბილეთების გაყიდვაში ხელი მოგვიწყვეს და მთელს ქუთაისის საზოგადოებას და მოსწავლეებს იმ თბილი თანაგრძნობისათვის, რომლითაც დაგვაჯილდოვეს მათ.

მზრუნველი კომიტეტი თავის მხრით იმედოვნებს, რომ ამ გვარ თანაგრძნობას და ნდობას საზოგადოებისას შეძლების და გვარათ გაამართლებს თავისი დაუღალავი და ენერგიული შრომით მისდამი რწმუნებულ სამკითხველოს აყვავებლათ და გასაფართოვებლათ.

ზემო აღნიშნულ კერძო შემოწირულებათა რიცხვში შედის უცნობი ოფიცრის შემოწირულება 4 მან. 40 კაპ., აგრეთვე 60 კაპ. რაჟდენ ყ. დათეშიძისა, რომელმაც გარდა ამისა სამკითხველოს შემოსწირ. დიდი მაგიდა, ღირებული 12 მანეთად, რისთვისაც უღრმეს მადლობას უძღვნის მათ მზრუნველი კომიტეტი.

ბაღახვანის შოთ- რუსთველის წიგნთსაცავ-სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტის მონდობილებით.

წევრი კომიტეტისა სილოვან გ. ლაჟყეპიანი.

P. S. უმორჩილესათ ვსთხოვ პატივცემულ გაზეთ „სახალხო ფურცლ"ის რედაქციას ეს ანგარიში უცვლელად გადაბეჭდოს თავის პატივცემულ გაზეთში.

**ს. ლ.**

## ჩვენი ფოსტა:

**დ. ხობი. ნიკ. სასანიას.** თქვენი ლექსი სუსტი გამოდგა, სცადეთ სწეროთ პროზათ.

სპეციალური სახელოსნო
**პარმენ ამაღლობელის**
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).




**ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,**
როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.
**ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.**

მმ. **ქორქოლაშის** მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.
**მიღებულია** **საპნის საქეთებელი სოდა ბორჯომის წყალი.**
საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი **აბრეშუმის თესლი.**
**ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის" ქარხნის სარწყავი მანქანები.**
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფასები ზომიერია.

**გამოვიდა და იყიდება**
**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**
თხზულებანი ჯაკუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება.
9) „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ქიქინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

„თეატრი და ცხოვრება"-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით
**ფასი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.
ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდნას" წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.
მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили.
რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან
სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. ჩ. ძოწენიძისა—ქუთაისში.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. [illegible]